



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N 39

2014 წლის 14 ივლისი  
ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის 2014 წლის 14 ივლისის ოქმი N3 (დანართი N3).
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, არჩეულად გამოცხადდეს საკრებულოს წევრი ივანე კობაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

